# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 106

„19" აპრილი 2019 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ოცხელის ქუჩა №4-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.33.002.017.01.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის $118^1$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, "ქალაქ თბილისში, ოცხელის ქუჩა №4-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.33.002.017.01.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 20 მარტის №19.313.412 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: "ქალაქ თბილისში, ოცხელის ქუჩა №4, სართული 4, ბინა №10-ის ფართით 71.08 კვ.მ. (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.19.33.002.017.01.010) პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარის ოდენობით პრივატიზებაზე, მოქალაქე გიორგი ინასარიძესთან (პ/ნ 01029002335) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე